

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13
2021 წლის 2 აგვისტო

ქ. საჩხერე

„საჩხერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 11 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების საფუძველზე, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

შეტანილი იქნას ცვლილება, „საჩხერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 11 დეკემბრის №24 დადგენილებაში (სსმ,14/12/2020, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.130.016389) და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თავი I

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	30,247.8	32,896.0	18,169.9	14,726.1	28,881.7	12,654.5	16,227.2
გადასახადები	10,895.8	11,759.7	0.0	11,759.7	14,109.6	0.0	14,109.6
გრანტები	17,215.6	18,619.4	17,919.4	700.0	12,654.5	12,654.5	0.0
სხვა შემოსავლები	2,136.4	2,516.9	250.5	2,266.4	2,117.6	0.0	2,117.6
II. ხარჯები	9,549.4	9,402.2	703.8	8,698.4	12,743.5	944.1	11,799.4
შრომის ანაზღაურება	1,999.1	1,943.9	90.0	1,853.9	2,242.5	98.1	2,144.4
საქონელი და მომსახურება	1,769.7	1,389.2	497.8	891.4	2,315.1	754.1	1,561.0
პროცენტი	37.1	48.1	0.0	48.1	35.7	0.0	35.7



გრანტები	4,490.0	4,934.5	99.5	4,835.0	6,500.5	91.6	6,408.9
სუბსიდიები	26.9	78.7	0.0	78.7	232.1	0.0	232.1
სოციალური უზრუნველყოფა	949.0	840.1	16.5	823.6	1,005.5	0.3	1,005.2
სხვა ხარჯები	277.6	167.7	0.0	167.7	412.1	0.0	412.1
III. საოპერაციო სალდო	20,698.4	23,493.8	17,466.1	6,027.7	16,138.2	11,710.4	4,427.8
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	16,816.1	23,052.8	17,055.3	5,997.5	22,875.3	16,254.4	6,620.9
ზრდა	16,835.0	23,131.9	17,055.3	6,076.6	22,941.3	16,254.4	6,686.9
კლება	18.9	79.1	0.0	79.1	66.0	0.0	66.0
V. მთლიანი სალდო	3,882.3	441.0	410.8	30.2	-6,737.1	-4,544.0	-2,193.1
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	3,845.1	366.6	410.8	-44.2	-6,811.5	-4,544.0	-2,267.5
ზრდა	3,845.1	410.8	410.8	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	3,845.1	410.8	410.8	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	44.2	0.0	44.2	6,811.5	4,544.0	2,267.5
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	44.2	0.0	44.2	6,811.5	4,544.0	2,267.5
VII. ვალდებულებების ცვლილება	-37.2	-74.4	0.0	-74.4	-74.4	0.0	-74.4
კლება	37.2	74.4	0.0	74.4	74.4	0.0	74.4
საშინაო	37.2	74.4	0.0	74.4	74.4	0.0	74.4
სესხები	0.0	74.4	0.0	74.4	74.4	0.0	74.4
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



შემოსულობები	30266.7	32975.1	18169.9	14805.2	28,947.7	12,654.5	16,293.2
შემოსავლები	30247.8	32896.0	18169.9	14726.1	28,881.7	12,654.5	16227.2
არაფინანსური აქტივების კლება	18.9	79.1	0.0	79.1	66.0	0.0	66.0
გადასახდელები	26421.6	32608.5	17759.1	14849.4	35,759.2	17,198.5	18560.7
ხარჯები	9549.4	9402.2	703.8	8698.4	12743.5	944.1	11799.4
არაფინანსური აქტივების ზრდა	16835.0	23131.9	17055.3	6076.6	22,941.3	16,254.4	6,686.9
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	37.2	74.4	0.0	74.4	74.4	0.0	74.4
ნაშთის ცვლილება	3845.1	366.6	410.8	-44.2	-6811.5	-4544.0	-2267.5

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 11904.4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	30247.8	32896.0	18169.9	14726.1	28,881.7	12,654.5	16227.2
გადასახადები	10895.8	11759.7	0.0	11759.7	14109.6	0.0	14109.6
გრანტები	17215.6	18619.4	17919.4	700.0	12,654.5	12,654.5	0.0
სხვა შემოსავლები	2136.4	2516.9	250.5	2266.4	2117.6	0.0	2117.6

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვროს 14109.6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
------------	-----------------	-----------------	-----------------



გადასახადები	10895.8	11759.7	14109.6
ქონების გადასახადი	643.0	875.9	600.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	350.9	599.6	400.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	107.8	109.9	100.0
არაეკონომიკურ საქმიანობაზე გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	107.8	109.9	100.0
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	37.3	36.8	30.0
ფიზიკური პირებიდან	25.8	23.3	20.0
იურიდიული პირებიდან	11.5	13.5	10.0
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	147.0	129.6	70.0
ფიზიკური პირებიდან	43.1	47.3	15.0
იურიდიული პირებიდან	103.9	82.3	55.0
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	10252.8	10883.8	13509.6
საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	10252.8	10883.8	13509.6
დამატებული ღირებულების გადასახადი	10252.8	10883.8	13509.6

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 11904,4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
გრანტები	17215.6	18619.4	12,654.5
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	143.0	0.0	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	17064.8	18291.8	12,654.5
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერი	864.0	1262.6	785.8
COV-ID 19 პანდემიიდან გამომდინარე ფინანსური დახმარება	0.0	700.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	864.0	554.6	785.8
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	7.8	8.0	0.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი	16200.8	17029.2	11,868.7
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	10992.1	13978.8	9,491.6



ადგილობრივი წყლის კომპანიების მხარდაჭერის ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრები	116.1	0.0	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სახსრები	672.0	672.0	682.0
საქართველოს მთავრობის განკარგულებით სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე გამოყოფილი სახსრები	1016.3	1468.3	1100.0
ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტებში	930.0	557.4	120.1
სტიქიის პრევენცია	461.3	0.0	0.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	2013.0	352.7	475.0
საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის სახსრები	0.0	327.6	0.0

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 2117,6 ათასი ლარით:

დასახელება
სხვა შემოსავლები
შემოსავლები საკუთრებიდან
პროცენტები
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები
რენტა
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის
მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისათვის
მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის
მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე
სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუმფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები
სანებართვო მოსაკრებელი
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის



საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი
სისტემურ- ელექტრონული ფორმის თამაშობებიდან
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან
შემოსავლები შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან
სანქციები (ჯარიმები და საურავები)
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვ
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფერო
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირ
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო
სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ვაჭრობისა და ფინანსების დარგში
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებულ საქნციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო
ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე
შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 12743,5 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის	2020 წლის ფაქტი		2021 წლის გეგმა	
			მათ შორის		სულ
			სახელმწიფო		სახელმწიფო



	ფაქტი	სულ	ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	9,549.4	9,402.2	703.8	8,698.4	12,743.5	944.1	11,799.4
შრომის ანაზღაურება	1,999.1	1,943.9	90.0	1,853.9	2,242.5	98.1	2,144.4
საქონელი და მომსახურება	1,769.7	1,389.2	497.8	891.4	2,315.1	754.1	1,561.0
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	206.6	207.7	0.0	207.7	257.4	0.0	257.4
მივლინება	15.1	5.6	0.0	5.6	13.0	0.0	13.0
ოფისის ხარჯები	156.6	184.9	2.0	182.9	318.6	0.0	318.6
წარმომადგენლობითი ხარჯები	28.1	5.3	0.0	5.3	27.5	0.0	27.5
სამედიცინო ხარჯები	1.4	2.3	0.0	2.3	5.1	0.0	5.1
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	2.2	5.6	0.0	5.6	8.6	0.0	8.6
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	700.1	509.1	408.8	100.3	795.0	638.2	156.8
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	659.6	468.7	87.0	381.7	889.9	115.9	774.0
პროცენტი	37.1	48.1	0.0	48.1	35.7	0.0	35.7
სუბსიდიები	4,490.0	4,934.5	99.5	4,835.0	6,500.5	91.6	6,408.9
გრანტები	26.9	78.7	0.0	78.7	232.1	0.0	232.1
სოციალური უზრუნველყოფა	949.0	840.1	16.5	823.6	1,005.5	0.3	1,005.2
სხვა ხარჯები	277.6	167.7	0.0	167.7	412.1	0.0	412.1

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 22,875.3 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა – 22,941.3 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება – 66,0 ათასი ლარით:

ათას ლარში



პროგ. კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
01 01	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი	33.4	57.6	82.7
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	14306.5	20557.0	20229.1
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	15.1	24.3	64.0
04 00	განათლება	1145.8	1110.0	436.9
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1194.7	1383.0	2,125.7
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	139.5	0.0	2.9
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	16835.0	23131.9	22,941.3

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	18.9	79,1	66.0
ძირითადი აქტივები	16.6	73,8	54.8
შენობა ნაგებობები	16.6	73,8	54.8
არასაცხოვრებელი შენობები	16.6	73,8	54.8
არაწარმოებული აქტივები	2.3	5,3	11.2
მიწა	2.3	5,3	11.2

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,687.7	2,610.7	3,491.9
7.1.1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,687.7	2,610.7	3,443.3
7.1.1.1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,687.7	2,610.7	3,243.3
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	200.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	0.0	48.6



7.2	თავდაცვა	153.0	149.8	176.9
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	153.0	149.8	176.9
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	12,418.7	14,557.9	12,325.2
7.4.5	ტრანსპორტი	11,556.5	13,692.6	11,372.8
7.4.5.1	სავტომობილო ტრანსპორტი და გზები	11,556.5	13,692.6	11,372.8
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	862.2	865.3	952.4
7.5	გარემოს დაცვა	929.8	986.9	1,049.3
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	778.2	614.7	746.1
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	144.3	40.3	99.3
7.5.3	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	7.3	199.4	55.7
7.5.4	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	0.0	132.5	148.2
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	2,522.5	6,636.3	9,650.5
7.6.1	ბინათმშენებლობა	63.7	12.0	105.3
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	77.6	422.6	353.8
7.6.3	წყალმომარაგება	2,061.5	5,717.1	8,150.3
7.6.4	გარე განათება	302.1	214.6	393.5
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	17.6	270.0	647.6
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	254.2	131.0	132.8
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	114.7	131.0	129.9
7.7.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	139.5	0.0	2.9
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2,769.8	2,996.7	4,155.1
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,142.1	1,382.0	2,271.7
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,582.7	1,579.7	1,838.4
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	45.0	35.0	45.0
7.9	განათლება	3,655.8	3,523.8	3,545.0
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	2,019.0	2,299.9	2,576.2
7.9.6	განათლების სფეროში დამხმარე მომსახურება	1,462.5	1,029.4	760.8
7.9.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	174.3	194.5	208.0



7 10	სოციალური დაცვა	992.9	941.0	1,158.1
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	728.7	570.1	620.0
7 10 11	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	701.9	541.6	550.0
7 10 12	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	26.8	28.5	70.0
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	8.4	5.3	40.0
7 10 3	მარჩენადაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	16.5	15.6	30.0
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	153.6	231.6	300.0
7 10 6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	5.7	7.5	10.0
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	33.5	64.5	73.1
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	46.5	46.4	85.0
	სულ	26,384.4	32,534.1	35,684.8

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -6737.1 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 15388.1 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	20698.4	23493,8	16,138.2
მთლიანი სალდო	3882.3	441,0	-6737.1

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს – 6811.5 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	3845.1	366,6	-6811.5
ზრდა	3845.1	410,8	0,0
ვალუტა და დეპოზიტი	3845.1	410,8	0,0
კლება	0,0	44,2	6811.5
ვალუტა და დეპოზიტი	0,0	44,2	6811.5



მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 2021 წლის დასაწყისისათვის სასახო ვალდებულებების ძირითადი თანხა განისაზღვრა 515444 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2018 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

2018 წლიდან დღეის მდგომარეობით პროცენტისა და ძირის სახით გადარიცხულია 322822 ათასი ლარი.

თავი II

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 22130,7 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	22,130.7
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	11,372.8
02 01 01	საყრდენი კედლის მოწყობა	986.5
02 01 02	თოვლისაგან გზის გაწმენდის სამუშაოები	96.8
02 01 04	ხიდების, ბოგირების მშენებლობა და რეაბილიტაცია	49.1
02 01 05	საგზაო ნიშნების დამონტაჟება და ქუჩების მონიშვნითი სამუშაოები	51.0
02 01 06	ქალაქ საჩხერეში ქუჩების რეაბილიტაცია	456.0
02 01 07	მისასვლელი და საუბნო გზების კეთილმოწყობა	9,733.4
02 02	წყლის სისტემების განვითარება	8,249.6
02 02 01	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წყალმომარაგება, რეაბილიტაცია, მშენებლობა	8,150.3
02 02 02	საკანალიზაციო სისტემების, კოლექტორების და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა	99.3
02 03	გარე განათება	393.5
02 03 01	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	52.8
02 03 02	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	340.7
02 04	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	1,001.4
02 04 01	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	92.1



02 04 02	სკვერების მოწყობა და მომსახურება	353.8
02 04 03	ქალაქის კეთილმოწყობა	555.5
02 05	ბინათმშენებლობა	105.3
02 06	მდინარის ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	55.7
02 07	სოფლის პროგრამების განსახორციელებელი პროექტები	952.4

ათას ლარებში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საყრდენი კედლის მოწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		986,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საავტომობილო გზების გასწვრივ, საჭიროებიდან გამომდინარე საყრდენი კედლების მოწყობას, ძირითადათ საქმე გვაქვს, როგორც მეწყერული მოვლენების პრევენციასთან, ასევე რომ არ მოხდეს მიწის ჩამოშლა სავალ ნაწილზე, აღნიშნული ღონისძიებების გატარება საჭიროა როგორც მოსახლეობის უსაფრთხოების და მათი შეუფერხებელი გადაადგილების კუთხით. ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: - სოფ. დარყაში, ბურძენიძეების უბანში ღელეზე საყრდენი კედლის გაგრძელება; ასევე ქ. საჩხერის სხვადასხვა ქუჩებში, ჩიხებში საყრდენი კედლების მოწყობა; ქ. საჩხერეში ყაზარას წყაროს მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა; ქ. საჩხერეში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე N1 ჩიხში გიორგი კაპანაძის სახლთან და ნინო გაფრინდაშვილის სახლთან საყრდენი კედლის მოწყობა; სოფელ სარეკში მარუსა აბრამიშვილის სახლთან საყრდენი კედლის მოწყობა; სოფელ ბაჯითში, ლამარა ხუტუნიშვილის სახლთან, დაზიანებული კედლის აღდგენითი სამუშაოები; სოფელ ბაჯითში, მირზა გაჩეჩილაძის სახლთან, დაზიანებული კედლის აღდგენითი სამუშაოები; სოფელ სხვიტორში და სოფელ ორდულში საყრდენი კედლის მოწყობა; დუნთაში საუბნო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა და სხვა. რგგფ-ის თანადაფინანსება; საპროექტო საზედამხედველო მომსახურება. რგგფ.-საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდინარე ყვირილას კალაპოტში საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ მუნიციპალიტეტში საყრდენი კედლების მოწყობა.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ზემოთ აღნიშნულ დასახლებებში საყრდენი კედლების მოწყობით ვახდენთ სტიქიური მოვლენების პრევენციას: როგორც მეწყერული მოვლენების, ასევე რომ არ მოხდეს მიწის ჩამოშლა სავალ ნაწილზე. მოსალოდნელი შედეგია მოსახლეობის უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	თოვლისაგან გზის გაწმენდის სამუშაოები	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		96,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ზამთრის პერიოდში მოყინული გზებისა და ტროტუარების ტექნიკური მარილით დამუშავება, დათოვლილი გზების გაწმენდითი სამუშაოები მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში და ქ. საჩხერეში.		
მოსალოდნელი შედეგი	ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულე მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება		



--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხიდების, ზოგიერების მშენებლობა და რეზილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 04		49.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხიდებისა და ხიდ-ზოგიერების რეაბიტაციას, ასევე საჭიროებიდან გამომდინარე ახლის მშენებლობას, აღნიშნული ღონიძიებების გატარება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს, როგორც მოსახლეობის უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილებას, ასევე მოხდება მათი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებასოფელ დარყაში ხიდებისა და ხიდ-ზოგიერების რეაბილიტაცია. პროგრამა ხორციელდება სოფ. ჯალაურთაში, ხიდ-ზოგიერის მოწყობა ძველი და ახალი სასაფლაოს ტერიტორიებს შორის. ქ. საჩხერის უბნებში საცალფეხო ხიდებისა და ხიდ-ზოგიერების რეაბილიტაცია; ქ.საჩხერეში ახალგაზრდობის ქუჩაზე გურამი კესარელის სახლის მიმდებარედ, ღელე დუნთურაზე ხიდის რეაბილიტაცია; სოფელ ორდულში ფოფხაძეების შესახვევში არსებული ხიდ ზოგიერის გაფართოების მოწყობის სამუშაოები(პროექტირება) და სხვა. სოფელ ცხომარეთში მდინარე წყალფენილაზე ხიდის რეაბილიტაცია; სოფელ ჭალოვანში მდინარე ძირულაზე საფეხმავლო ხიდის მოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	აღნიშნული ღონიძიებების გატარების შემდგომ სოფელში მცხოვრებ მოსახლეობას ექნება შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების საშუალება, რაც დადებითად იმოქმედებს მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ნიშნების დამონტაჟება და ქუჩების მონიშვნითი სამუშაოები	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 05		51.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქ. საჩხერის საუბნო გზებზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა და ასევე პროექტირება; სოფელ სხვიტორიდან სოფელ პერევის ჩათვლით სოფლების საინფორმაციო მანიშნებლების მონტაჟი; სხვიტორიდან - პერევის მიმართულებით საინფორმაციო მანიშნებლების მოწყობა და სხვა.		
მოსალოდნელი შედეგი	საჩხერის მუნიციპალიტეტში შემცირდება სიჩქარის გადაჭარბება, შესაბამისად გაიზრდება უსაფრთხოების მაჩვენებელი		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალაქ საჩხერეში ქუჩების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 06		456,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
	პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ საჩხერის სხვადასხვა დარჩენილ ქუჩებსა და ჩიხებში საავტომობილო გზის რეაბილიტაციას, ტროტუარებისა და სანიაღვრე არხების კეთილმოწყობას. კერძოდ: - ქ. საჩხერის სხვადასხვა ქუჩებში, ჩიხებში დარჩენილ მონაკვეთებზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; ქ. საჩხერის სხვადასხვა ქუჩებში, ჩიხებში სანიაღვრე არხების მოწყობა; ქ. საჩხერეში ჩოლოყაშვილის და დურმიშძის ქუჩაზე ტროტუარების მოწყობის (პროექტირება); ქ. საჩხერეში რუსთაველის ქუჩაზე წყაროს წყლის სადრენაჟე სამუშაოები; ქ.საჩხერეში კონსტიტუციის ქუჩაზე		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ამირანაშვილის სახლთან სანიაღვრე არხის მოწყობა. ქ.საჩხერეში ივანე გომართელის ჩიხში რესტორან მილასერის უკან გზის საფარის მოწყობა ღორღით ; ქ.საჩხერეში ივანე გომართელის ჩიხში 155 გრძ/მ გზის საფარის მოწყობა ღორღით ; ქ. საჩხერეში კოსტავას ქუჩის რეაბილიტაციის და ქალაქ საცხერეში დურმისიხის ქუჩაზე ტროტუარების მოსაწყობად, ჩოლოყასვილისა და დურმიშიძის ქუჩების კვეთაზე წრის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების პროექტირება ; ქ.საჩხერეში ე.წ გელაზახიანების ტბის სადრენაჟო სისტემის მოსაწყობად პროექტირება; ქალაქ საჩხერის სხვადასხვა ქუჩებში, ჩიხებში დარჩენილ მონაკვეთებზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სხვითორიდან - პერევის მიმართულებით საინფორმაციო მანიშნებლების მოწყობა და სხვა.
	რგგ-ის თანადაფინანსება; საპროექტო საზედამხედველო მომსახურება;
	რგგ : ქ.საჩხერეში დარჩენილ უბნებსა და ჩიხებში საავტომობილო გზების რეაბილიტაცია (მესამე ეტაპი);
მოსალოდნელი შედეგი	ქ. საჩხერის ტერიტორიაზე მოწესრიგებული გზები, სავალი ტროტუარები, მრავალსართულიან ბინებთან გაუმჯობესებული მისასვლელი გზები.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მისასვლელი და საუბნო გზების კეთილმოწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 07		9733.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
	12 ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა დაახლოებით 28400 კვ.მ. ასევე სანიაღვრე სისტემების მოწყობა და საუბნო გზების რეაბილიტაცია (მოხრეშვა). ქვეპროგრამის მიზანია: პროექტების განხორციელების შედეგად შემცირდება გამოფრქვევები და გზის გაუმართაობის შედეგად გზაზე წარმოქმნილი მტვერი, ხოლო სამუშაოების დროს წარმოქმნილი ნარჩენების გატანას და გაუვნებლობას უზრუნველყოფს სამშენებლო კომპანია. გზის რეაბილიტაცია დადებითად იმოქმედებს სოფლებიდან ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაციის შემცირებაზე. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: არგვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში გზების რეაბილიტაცია, სოფელ კორბოულში საუბნო გზების მოხრეშვა; სოფელ კორბოულში საუბნო გზების რეაბილიტაცია; სოფელ შომახეთში საუბნო გზების რეაბილიტაცია; სოფელ სარეკში, შიდა საუბნო გზებზე რკინა/ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ბაჯითში, შიდა საუბნო გზებზე რკინა/ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ქვემოხევში, შიდა საუბნო გზებზე რკინა/ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. ქვემოხევში, მდ. ჯრუჭულის მარცხენა სანაპიროზე მცხოვრებთა უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა; სოფელ ცხომარეთში, შიდა საუბნო გზებზე რკინა/ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ მოხვაში, შიდა საუბნო გზებზე რკინა/ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ მოხვაში, მდ. მოხურაზე არსებულ წყალგამტართან გაბიონის მოწყობა; სოფელ სხვითორში, შიდა საუბნო გზებზე რკინა/ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ჩიხაში, შიდა საუბნო გზებზე რკინა/ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. ჩიხაში, რეზო და სოფო ცუხიშვილის სახლთან სანიაღვრე არხის მოწყობა; სოფელ ქვედა ორლულში, შიდა საუბნო გზებზე რკინა/ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ღონაში, შიდა საუბნო გზებზე რკინა/ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ჭალაში, შიდა საუბნო გზებზე რკინა/ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ სპეთში, პაატა ხომასურიძის სახლთან გაბიონის მოწყობა; სოფლებში სპეთში, დარყაში, დრბოში, ჯრიაში, პერევიში, ჭურნალში, არგვეთში, მახათაურში, შალაურში, ბაზიოთში, იტავაზაში, ცხამში, საირხეში, ჭორევილაში, ჭორეთში, კალვათაში შიდა საუბნო გზებზე რკინა/ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ სავანეში სანიაღვრე არხების მოწყობა; სოფელ გორისაში, წმ. გიორგის ეკლესიამდე მისასვლელ გზაზე რკინა/ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ გამოღმა არგვეთში, ახალ სასაფლაომდე მისასვლელ გზაზე რკინა/ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. საირხეში, სანიაღვრე არხის მოწყობა; სოფ. ჯალაურთაში, სანიაღვრე არხების მოწყობა; სოფ. ჯალაურთაში, რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა გოჩა ნეფარიძის სახლთან; სოფ. ჯალაურთაში, რკინა ბეტონის საფარის მოწყობა კაპანაძეების უბანში; სოფ. მოძეში, ზედა და ქვედა მოძეს შორის დამაკავშირებელ გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. კორბოულში, ბასილიძეები, კაპანაძეების უბანში 185 მეტრი სიგრძის გზის რკინა/ბეტონის საფარის მოწყობა ცხაურით; სოფ. კორბოულში, ბეიკიშვილების უბანში გუსტავი ტალახადის სახლთან 60 მეტრი სიგრძის გზის რკინა/ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. კორბოულში, ბაინდრების უბანში 80 მეტრი სიგრძის გზის რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. კორბოულში, შაქარების უბანში 50 მეტრი სიგრძის გზის რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. კორბოულში, კილაძეების უბანში ჯაბა კაპანაძის სახლთან 80 მეტრი სიგრძის გზის რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. კორბოულში, ტალახაძეების უბანში ჯაბა ტალახაძის უბანში 70 მეტრი სიგრძის გზის რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. კორბოულში, ნეკერეების უბანში მერაბი სისვადის სახლთან 50 მეტრი სიგრძის გზის რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. კორბოულში, სისვადეების უბანში ნოდარ ტალახაძის სახლთან 50 მეტრი სიგრძის გზის რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; ჩიჩინას გორაზე მემორიალთან მისასვლელ გზაზე 60 მ-ზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. შომახეთში, ფოფხაძეების უბანში ორი მიმართულებით ორი 90 მეტრი სიგრძის გზის რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. შომახეთში, კოდარეების უბანში 70 მეტრი სიგრძის გზის რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. ნიგვზარაში, ხარშილაძეებში (წულიკიძეების უბანში) 60 მეტრი სიგრძის გზის რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. ნიგვზარაში, სიმონა ლაბაძის სახლის მიმართულებით 70 მეტრი სიგრძის გზის რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. ნიგვზარაში, ჩოყნარის უბანში გაგა მაჭარაშვილის სახლთან 50 მეტრი სიგრძის გზის რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. ნიგვზარაში, ხარშილაძეების უბნიდან, ნიგვზარის სასაფლაოზე ჩასასვლელ გზასთან, ბუნებრივი გაზის მილის რეიბილიტაცია (არკას ესაჭიროება მაღლა აწევა) და 40 მეტრი სიგრძის გზის რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. ნიგვზარა ჩოყნარის უბანში 40მ-ზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. ლიჩში, ჭალოვანში, ხვანში, ივანწმინდაში საუბნო გზაზე რკინა/ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. მერჯევში, ბაჩუკი დევანოიძის სახლთან სანიაღვრე არხის მოწყობა; სოფ. მერჯევში, გოგატიშვილების უბანში ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ საირხეში კურტანიძეების უბანში რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ სარეკში საუბნო გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; მერჯევის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზების მოხრეშვა; ჯალაურთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზების მოხრეშვა; სოფელ ჩიხაში, ლიჩში, ხვანში შიდა საუბნო გზებზე რკინა/ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. ჯალაურთაში, გოჩა ნეფარიძის სახლთან და კაპანაძეების უბანში რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ.		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

მოდში, ზედა და ქვედა მოძეს შორის დამაკავშირებელ გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ცხამში საჩქეფელას უბანში რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ჭორვილაში წერეთლების უბანში არსებული გზის ორ მონაკვეთზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ სარეკში ლაბაძეების უბანში სანიაღვრე არხის მონოლითური რკინა-ბეტონის გადახურვა; სოფელ ბაჯითში ტყემლების ბაღის მიმდებარეთ გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; ქვედა ბაჯითში მუშლაძეების უბანში რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ მერჯევში ქემერტელიძეების უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა და სხვა.

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ და საჩხერის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების საფუძველზე ფონდი ახორციელებს „სოფელ ჯალაურთაში გზების რეაბილიტაციის სამუშაოებს“ **თანადაფინანსების** სახით ანაზღაურებული უნდა იქნას მთლიანი თანხის 15%-ი. სოფელ გორისაში შეყლაშვილების უბანში გზაზე რკინა ბეტონის მოწყობა 100.0 ათასი ლარი; სოფელ ჭორვილაში მჭედლიშვილების უბანში გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; გორიჯვრის წმინდა გიორგის სახელობის სალოცავისაკენ მიმავალ გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ პასიეთში საუბნო გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ საირხეში ზედა კურტანიძეების უბანში საუბნო გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ გორისაში ქვედა შეყლაშვილების უბანში საუბნო გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა. **რგპ-ის თანადაფინანსება; სამშენებლო სამუშაოების საზედადხედველო მომსახურება და პროექტირება.** სოფელ არგვეთში კუპრაშვილების უბანში მისასვლელ გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ მახათაურის საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ჭორვილაში საუბნო გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ღოდორაში რკ-ბეტონის საფარის მოწყობა;

რგპ -სოფელ დურევის საავტომობილო გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა(მეორე ეტაპი); კორბოულში(კნაჭეები კულაშვილები) საუბნო გზის რეაბილიტაცია; სავანეში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი); ხვანში, მაჭარაშვილების უბანში რკ/ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ცხამში ეთო-ეხვევის უბნიდან მეფრინველეობის ფაბრიკისკენ საავტომობილო გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა (მეორე ეტაპი); სოფელ ქვემოხევში შიდა საუბნო გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ მოხვამი ამბულატორიის გავლით სოფლის თავისკენ, მაჩაიძეების უბნის მიმართულებით გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ იცქისის საუბნო გზებზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა(მეორე ეტაპი); სავანეში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (მესამე ეტაპი); სოფელ გორისაში დონაძეები-ბარბაქაძეებისა და წერეთლების უბანში გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ გამოდმა არგვეთში მარჯოზაშვილებისა და მარგველაშვილების უბანში გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; საირხე-კალვათის შემაერთებელ გზაზე(გელბახიანებზე გამავალი) რკინა ბეტონის საფარის მოწყობა(მეორე ეტაპი); სოფელ ჭორვილაში მჭედლიშვილების, წიქვაძეების, ნადირაძეებისა და ბურძენიძეების უბნების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია(მეორე ეტაპი); სოფელ სარეკში 17-ე ქუჩაზე ჭილაძეების, ნავაძეების, ჭადაძეების, სხირტლაძეების, დობორჯგინიძეებისა და ღვთისმშობლის ეკლესიიდან აბრამიშვილების, ლობჯანიძეებისა და ლაბაძეების უბნისკენ მიმავალ ცენტრალურ გზებზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფ. ქვედა ორლულში ნადირაძეების უბნიდან ჭილაძეების, ქველაძეების და კალმახელიძეების უბნის დამაკავშირებელ და სოფ. ზედა ორლულში მაჭავარიანების უბნიდან ორლულის სკოლის, ბაღისა და მდ. ლესერის მიმდებარედ სარიტუალო დარბაზის დამაკავშირებელ გზებზე რკ/ბეტონის საფარის მოწყობა სოფელ ჭალაში მდ. შუშის ორივე მხარეს გზებზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობასოფელ ჭორეთში გაბაძეების უბნიდან სოფელ საირის ბოლომდე გზაზე რკ/ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ჭორეთში გაბაძეების უბნიდან სოფელ საირის ბოლომდე გზაზე რკ/ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ კალვათაში ახალ სასაფლაომდე მისასვლელ გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ჭალაში მდ. შუშის ორივე მხარეს გზებზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ სპეთში შიდა საუბნო გზებზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ღოდორაში ხარაიშვილების უბანში გზის რეაბილიტაციის სამუშაოებზე რკინა ბეტონის საფარით მოწყობა. სოფ. ქვედა ორლულში ნადირაძეების უბნიდან ჭილაძეების, ქველაძეების და კალმახელიძეების უბნის დამაკავშირებელ და სოფ. ზედა ორლულში მაჭავარიანების უბნიდან ორლულის სკოლის, ბაღისა და მდ. ლესერის მიმდებარედ სარიტუალო დარბაზის დამაკავშირებელ გზებზე რკ/ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ კორბოულში ჩიჩინას გორიდან სოფელ ცხამის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. კორბოულის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში შიდა საუბნო გზებზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა. სოფელ საირხეში საუბნო გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ჭორვილაში საუბნო გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა.

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების მოხრეშვა და რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა.

მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის სოფლებში აღდგენილი და შეკეთებული საუბნო გზები, ტრანსპორტირების კუთხით წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა.		
--------------------	---	--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წყალმომარაგება, რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		8150.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
	წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური /ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიანს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: სოფელ შალაურში ისტორიული წყაროს რეაბილიტაცია; სოფელ იტავაზაში წყალმომარაგების სიტემის რეაბილიტაცია; სოფელ ცხამში შემავალ ეთო-ეხვევის უბნის ისტორიული წყაროს რეაბილიტაცია; სოფელ კორბოულში, ტოტიკების უბანში, კორბოულის საბავშვო ბაღში მიმავალი სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა; სოფ. კორბოულში, სისვაძეების (ნეკერეების) უბანში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა; ჭაბურღილებისა და წყალმომარაგების სისტემის (პროექტირება); ქ. საჩხერეში		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	რაჭის ქუჩაზე ყაზარას წყაროს სათავე ნაგებობისა და წყლის მაგისტრალის მოწყობა და სხვა. ასევე ხორციელდება შპს „საჩხერის წყალკანალის“ სუბსიდირების ხელშეწყობა. შპს „საჩხერის წყალკანალი“(სოფელ ივანწმინდაში სასმელი წყლის მაგისტრალური წყალსადენის რეაბილიტაცია). სოფელ იცქისის სატუმბო სადგურზე სამარაგო რეზერვუარის მოწყობა; სოფელ იცქისის სატუმბო სადგურზე სასმელი წყლის ქაბურღილების მოწყობა; წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის ქაბურღილების მოწყობა და სხვა. საზედამხედველო მომსახურება; რგპფ-ის თანადაფინანსება. რგპფ -სოფელ მახათაურისა და შალაურის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა; სოფელ მოძვში, ქვემოხევში სასმელი წყლის სისტემებისა და სოფელ ქორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლების სასმელი წყლის სისტემისათვის მაგისტრალური ქსელის მოწყობა; სოფელ ქორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლების სასმელი წყლის სისტემების მოწყობის სამუშაოები (მეორე ეტაპი); ჩიხის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების სასმელი წყლის სისტემის მოწყობა. სოფელ მოძვში,ქვემოხევში სასმელი წყლის სისტემებისა და სოფელ ქორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლების სასმელი წყლის სისტემისათვის მაგისტრალური ქსელის მოწყობა; სოფელ ქორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლების სასმელი წყლის სისტემების მოწყობის სამუშაოები (მეორე ეტაპი).		
მოსალოდნელი შედეგი	აღნიშნულ დასახლებებში - აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემების გამართული ფუნქციონირება და მოსახლეობისათვის შეუფერხებლად სასმელი წყლის მიწოდება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საკანალიზაციო სისტემების, კოლექტორების და გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		99.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ყველა კატეგორიის დასახლებებში საწარმოო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების, წყალარინების და სანიაღვრე სისტემების მოწესრიგება და განვითარება. ამ ეტაპზე იგეგმება ქ. საჩხერის ახალ და დარჩენილ დასახლებებისათვის საკანალიზაციო ქსელის მოწყობა და სხვა. ვინაიდან უზნებში გზებზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა იწვევს ჭარბი ნალექის წარმოქმნას. ასევე რიგ უზნებში საჭიროა წყლის ნაკადის შეკრება და მიმართვ; სოფელ იცქისში, სავანის წრესთან და ქ. საჩხერეში სალობიესთან საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია; ქ.საჩხერეში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა გამწმენდ ნაგებობასთან (გვარდიის კანალიზაცია); ე.წ გელაბახიანების ტბის სადრენაჟო სისტემის მოწყობა; ქ. საჩხერეში მაჭავარიანის ქუჩის დასაწყისიდან საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია და სხვა.		
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული გამწმენდი ნაგებობები და სანიაღვრე სისტემები; აღდგენილი კოლექტორები;.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		52,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ საჩხერეში თამარ მეფის ჩიხებში გარე განათების მოწყობა; სოფელ საირხეში გარე განათების მოწყობის სამუშაოები და სხვა		
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული გარეგანათების სიტემა და განათებული ქუჩების გაზრდილი რაოდენობა.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 02		340,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ზურმუხტი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისათვის პროგრამა ითვალისწინებს საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარეგანათების ორგანიზებასა და სრულყოფილ ფუნქციონირებას, კერძოდ: ქუჩების, „მოდინახე“ ციხესთან მისასვლელი გზის, სკვერების, ბაღების (დასვენების პარკები), სატრანსპორტო და სფერხმავლო ხიდების განათების ქსელის მოვლასა და ექსპლუატაციას. ასევე მუნიციპალიტეტის სოფლების: სხვიტორის, ჩიხის, პერევის, სავანის, არგვეთის, ჭორვილის მიმართულებით ცენტრალური გზებისა და გომი- საჩხერე-ჭიათურის საავტომობილო გზის საჩხერის მონაკვეთზე განლაგებული გარეგანათების ქსელის მოვლა-ექსპლუატაციას და სხვა.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. საჩხერეში და 6 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 15%. ქ. საჩხერის დაახლოებით 85%. გარე განათების სისტემა მოიცავს 1000-ზე მეტს განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 1660-ზე მეტ სანათ წერტილს, 10000 გრძივ მეტრზე მეტრ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 04 01		92,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საჩხერის მუნიციპალიტეტში არსებული სასაფლაოს შემოღობვის კერძოდ: სოფ. კორბოულში, სასაფლაოს შემოღობვა (მაქაძეების, ბუხრაიძეების, ნოზაძეების და ღონაძეების) უბნისთვის 400 გრძივი მეტრი; სოფ. კორბოულში, სასაფლაოს შემოღობვა კილაძეების უბანში 200 გრძივი მეტრი; სოფ. შომახეთში, სასაფლაოს შემოღობვა (გოგატიშვილები, მაჭარაშვილების) უბანისთვის 400 გრძივი მეტრის; სოფ. მერჯევში, დეკანოიძეების უბანში სასაფლაოს შიდა ბილიკების მოწყობა 70 გრძ/მ.სოფელ არგვეთის სასაფლაოზე არსებული წყლის რეაბილიტაცია და სადრენაჟე სისტემის მოწყობა; ქალაქის სასაფლაოს შემოღობვა - კეთილმოწყობა(ყოფილი შამანის ქარხნის მოპირდაპირედ) და სხვა.		
მოსალოდნელი შედეგი	შემოღობილი და დაცული სასაფლაოს ტერიტორია		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკვერების მოწყობა და მომსახურება	დაფინანსება ათას ლარში
	02 04 02		353,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა და მომსახურება ასევე მოწყობა კერძოდ: სოფ. ჭორვილაში, გაიანეს ბაღის მოწყობა (გაგრძელება); სოფ. ჯალაურთაში, სკვერის მოსაწყობად ადგილის შემოღობვა დოდაძეების უბანში (60 გრძ.მ.); სოფ. მოძეში, სკვერის მოსაწყობი ადგილის შემოღობვა ტყემალაძეების უბანში; სოფ. მერჯევში, დეკანოიძეების უბანში სკვერის მოწყობა; ქ. საჩხერეში, ზვიად გამსახურდიას ქუჩაზე, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მემორიალის მოწყობა და სხვა. ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასასვენებელი და გასართობი სივრცის		



	შექმნა. სოფელ ჭორვილაში წერეთლების უბანში სკვერის მოწყობა; სოფელ ჭორვილაში მჭედლიშვილების უბანში გაიანეს ბაღის მოწყობა.
	ქალქ საჩხერეში ახალი რეკრიაციულ-დასასვენებელი სივრცის მოწყობა თანადაფინანსება.
მოსალოდნელი შედეგი	კეთილმოწყობილი დასასვენებელი სკვერები, მოსახლეობისათვის შექმნილი სუფთა სივრცე და გარემო.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალაქის კეთილმოწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 04 03		555.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობითი სამუშაოები, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტში დასასვენებელი სივრცეების, ფანჯატურების მოწყობას; ქ. საჩხერის ტერიტორიაზე დასასვენებელი სივრცეების, ფანჯატურების მოწყობა; და სხვა. რგპფ-ის თანადაფინანსება; საპროექტო საზედამხედველო მომსახურება. რგპფ: ქ.საჩხერეში ცენტრალური ქუჩების მიმდებარე ტერიტორიების რეაბილიტაცია კეთილმოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	ქ. საჩხერის ტერიტორიაზე მოწესრიგებული პარკებისა და დასასვენებელი სივრცეების რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 05		105,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში ლიფტების რემონტის პროექტირებას; კოსტავას ქუჩაზე შენობის ფასადებისა და კომუნიკაციების მოწყობილობების პროექტირება; ქ. საჩხერეში სვეტების მოჭრა და ფასადების კეთილმოწყობა; ქ.საჩხერეში სანაპიროს ქუჩა N6-ში 2 სართულიანი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოების კარ ფანჯრების მოწყობა და სხვა.		
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული საცხოვრებელი კორპუსები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მდინარის ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 06		55,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა სოფელ ჭალოვანში ცენტრალურ გზაზე მდინარის ნაპირსამაგრი გაბიონი. „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ სოფელ სხვიტორში მდინარე		



	ჩიხურაზე, გაბიონის მოწყობა.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები	დაფინანსება ათას ლარში
	02 07		952,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის მიზანია	სოფლის კატეგორიის დასახლებების კავშირის გაძლიერება ურბანულ დასახლებებთან და მათთვის საჭირო, ხარისხიანი მომსახურების ადგილზე მიწოდება. სოფლის კატეგორიის დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. კერძოდ: იგეგმება სოფ. ზედა ორღულში, ბადის ეზოს კეთილმოწყობა და ფანჩატურის მშენებლობა; სოფ. ჭალაში, ადმინისტრაციული შენობის ეზოს შემოღობვა; სოფელ დურევის სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია; სოფ. ჭორვილაში, ადმინისტრაციული შენობის ეზოს მოწესრიგება; სოფელ ქორეთის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის გაგრძელება; სოფ. ჯალაურთაში, მგზავრთა მოსაცდელი კაპანაძეების უბანში; სოფ. ჯალაურთაში, ადმინისტრაციული შენობის რემონტი; სოფ. ივანწმინდაში, გამგეობის შენობის შიდა შესასვლელის მოწყობა. სოფ. ჯალაურთაში, მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა კაპანაძეების უბანში და სხვა.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სოფელ სარეკში ლაბაძეების უბანში ფანჩატურის მოწყობა. სოფ. ჯალაურთაში, მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა კაპანაძეების უბანში; სოფელ ზედა ორღულის საბავშვო ბაღის ეზოში ატრაქციონებისა და ფანჩატურის მოწყობა; სოფელ ქვედა ორღულში ქველაძეების უბანში გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ჩიხაში ზეინკლიშვილების უბანში გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ სხვიტორში მაჭარაშვილების უბანში გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ დუნთაში შიდა საუბნო გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ჯალაურთაში სპორტული სავარჯიშოების (ტრენაჟორები) მოწყობა; სოფელ კალვათის ცენტრალურ გზაზე გარე-განათების მოწყობა; სოფელ ქორეთში ქამუშაძეების უბანში გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ჭორვილაში, დვლების, ყაველაშვილების, ბერიძეების, გამგებლების, ბაძგარაძეების, მაჭავარიანების, ჯირკვალძიძეებისა დატყემალაძეების უბანში გარე განათების მოწყობა; სოფელ საირხეში ცენტრალურ გზაზე გარე-განათების მოწყობა; სოფელ სპეთში დავაძეების უბანში ორი მონაკვეთის შეერთება გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობით; სოფელ ჭალაში გომართლების უბანში გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ დრბოში საუბნო გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ საკოხიაში სასაფლაოსკენ მისასვლელ გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ღონაში ნამგლაძეების უბანში გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ღონაში ნამგლაძეების უბანში გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ პერევეში საბავშვო ბაღის ეზოში ატრაქციონების მოწყობა; სოფელ ჭურნალის მისასვლელ გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ჯრიაში სპორტული სავარჯიშოების (ტრენაჟორები) მოწყობა; სოფელ დარყაში სასფლაოსკენ მისასვლელი გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ივანწმინდაში ენუქიძეების, ქავთარაძეების, დეკანოიძეებისა და ხომასურიძეების უბანში გარე-განათების მოწყობა; სოფელ მერჯევის სასაფლაოდან კაპანაძეების უბნისკენ მიმავალ გზაზე სანიაღვრე არხის მოწყობა; სოფელ გამოღმა არგვეთში ხარშილაძეების უბანში გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ გორისაში ზედა შეყლაშვილების უბანში (სერზე) სკვერის მოწყობა; სოფელ შალაურში სკვერის მოწყობა; სოფელ მახათაურში არსებული სკვერის კეთილმოწყობის გაგრძელება; სოფელ ცხამში შიდა საუბნო გზებზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ დურევის ცენტრში, სპორტული მოედნის მიმდებარედ ტერიტორიის შემოღობვა-კეთილმოწყობა; სოფელი იტავაზაში, ძინძიბაძეების უბნის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია; სოფელ არგვეთში მინი სპორტული მოედნის მოწყობა; სოფელი სავანის სხვადასხვა უბნებში დასასვენებელი სივრცის მოწყობა; სოფელი იცქისის დაწყებითი სკოლის მიმდებარედ, ბავშვთა გასართობი ატრაქციონებისა და მინი სპორტულ მოედანზე გარე განათების მოწყობა; სოფელ ხვანში სასაფლაოსკენ მისასვლელი გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ჭალოვანში წყალმომარაგების ქსელისათვის მასალების შეძენა; სოფელ ლიჩში წმანისუბანში გზაზე სანიაღვრე არხის მოწყობა; სოფელ ლიჩში წყალმომარაგების ქსელისათვის მასალების შეძენა; სოფელ ლოდორაში წყალმომარაგების ქსელისათვის მასალების შეძენა; სოფელ ვაკისაში საუბნო გზის რეაბილიტაცია; სოფელ ნიგეზარაში სასაფლაოსკენ მისასვლელ გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ კორბოულში ჩიჩინას გორაზე არსებულ სკვერში და საბავშვო ბაღის ეზოში ატრაქციონების მოწყობა; სოფელ ბაჯითში სკვერის მოწყობა საბავშვო ატრაქციონებით; სოფელ სარკვის ცენტრალურ გზაზე გარე განათების მოწყობა; სოფელ ქვემოხევში დასასვენებელი სკვერის მოწყობა; სოფელ მოხვაში სასაფლაოსკენ მისასვლელ გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ცხომარეთში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა და სხვა. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსება: სოფელ შომახეთში, ლოდორაში, კორბოულში, მოძეში, ბახიოთში საუბნო გზების მოხრეშვა; სოფელ ზედა ორღულის საჯარო სკოლისა და ბაღის გასწვრივ სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა; სოფელ ზედა ორღულის საბავშვო ბაღის ეზოში ატრაქციონებისა და ფანჩატურის მოწყობა; სოფელ ჩიხაში ზეინკლიშვილების უბანში გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ სხვიტორში მაჭარაშვილების უბანში გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ივანწმინდაში ენუქიძეების, ქავთარაძეების, დეკანოიძეებისა და ხომასურიძეების უბანში გარე-განათების მოწყობა; სოფელ ქვემოხევში დასასვენებელი სკვერის მოწყობა; სოფელ ჯალაურთაში სპორტული სავარჯიშოების (ტრენაჟორები) მოწყობა; სოფელ მახათაურში არსებული სკვერის კეთილმოწყობის გაგრძელება; სოფელ ცხამში შიდა საუბნო გზებზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ დურევის ცენტრში, სპორტული მოედნის მიმდებარედ ტერიტორიის შემოღობვა-კეთილმოწყობა; სოფელი იტავაზაში, ძინძიბაძეების უბნის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია; სოფელ არგვეთში მინი სპორტული მოედნის მოწყობა; სოფელი სავანის სხვადასხვა უბნებში დასასვენებელი სივრცის მოწყობა; სოფელი იცქისის		



	დაწყებითი სკოლის მიმდებარედ, ბავშვთა გასართობი ატრაქციონებისა და მინი სპორტულ მოედანზე გარე განათების მოწყობა; სოფელ ჭალაში გომართლების უბანში გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ჯრიაში სპორტული სავარჯიშოების (ტრენაჟორები) მოწყობა და სხვა.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა
 დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 894,3 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	894.3
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	746.1
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	133.2
03 03	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	15.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		746,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ზურმუხტი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საჩხერის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ამ მიზნით ა(ა)იპ „ზურმუხტს“ მუნიციპალიტეტიდან გადაეცა ნაგავ შემკრები კონტეინერები და 5 ერთეული ნაგავმზიდი სპეც/მანქანა, დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯები ძირითადად მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „ზურმუხტი“ ახორციელებს ყოველდღიურად (გარდა კვირისა) 109000 კვ/მ. საჩხერის მუნიციპალიტეტის ქუჩებისა და სკვერების დასუფთავებას. აქედან: თავისუფლების ქუჩის, ავტოსადგურისა და აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის 15000 კვ/მ-ის დასუფთავება ხორციელდება ყოველდღიურად (დღეში ორჯერ). ქალაქის ყველა მოასფალტებული ქუჩის, ტროტუარის, ჩიხის, სანიაღვრე არხის დასუფთავება საჭიროებისამებრ 50000 კვ/მ., გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის საჩხერის მონაკვეთზე ნარჩენების შეგროვება საჭიროებისამებრ საშუალოდ 15000 კვ/მ., ზამთრის სეზონზე საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ტროტუარების თოვლის საფარისაგან გაწმენდა საშუალოდ 150000 კვ/მ, ასევე ა(ა)იპ „ზურმუხტი“ ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანას, რომელსაც ყოველდღიურად ემსახურება 5 ერთეული ნაგავმზიდი სპეც/ავტომანქანა. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: სარეკის, ბაჯითის, ქვემოხევის, მოხვის, ცხომარეთის,უზუნთის, გაღმა მთის, ქორეთის, პასიეთის, სხვიტორის, კვერეთის, გორისის, გამოღმა არგვეთის, ივანწმინდის, მერჯევის, არგვეთის, სავანის, იცქისის, მახათაურის, შალაურის, ბახოთის, იტავაზის, დურევის, ცხამის, ზედა და ქვედა ორღულის, ჩიხის, დუნთის, ჭორვილის, საირხის, კალვათის, მოძვის ჯალალურთის, ჭალის, პერევის, ღონის, სპეთის, ჭურნალის, იფხორის, კორბოულის, შომახეთის, ნიგვზარის, ხვანის, ჭალოვანის, ლიჩის, ლოდორის საუბნო გზების პირზე დაგროვილი და სპეციალურ ბუნკერებში შეგროვილი საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანა არანაკლებ კვირაში ორჯერ. ქ. საჩხერის ცენტრალურ ქუჩებზე: ივ. გომართლის ქუჩა-აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორია, ცენტრალური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია, მ.კოსტავას ქუჩა-რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია, საავტომობილო და საცალფეხო ხიდების მიმდებარე ტერიტორია, თავისუფლების ქუჩიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ყოველდღიურად დღეში სამჯერ. გომი-საჩხერე-ჭიათურის გზის საჩხერის მონაკვეთზე შეგროვილი და ნაგვის ბუნკერებში დაგროვილი ნაგვის გატანა კვირაში ორჯერ. სანიაღვრე არხებიდან ამოღებული ნარჩენების გატანა საჭიროებისამებრ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულია 550 ნაგავშემკრები ურნა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად ნაგავსაყრელზე გადის 180-200 მ³/კუბი საყოფაცხოვრებო ნარჩენი , სპეცავტომანქანებს უტარდებათ გამორეცხვა-დეზინფექცია ყოველდღიურად და ნაგავშემკრებ ურნებს კვირაში ერთხელ. აღნიშნულ საქმიანობას ემსახურება 77		



	თანამშრომელი, მათ შორის ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პერსონალი (სპეციალისტები, მეეზოვეები, მძღოლები, მტვირთავები). ხელფასი და საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები ფინანსდება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.
მოსალოდნელი შედეგი	საჩხერის მუნიციპალიტეტის დასუფთავებული ქუჩები, გაზონები, ტროტუარები, სკვერები. შექმნილი სუფთა გარემო.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		133,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ზურმუხტი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საჩხერის მუნიციპალიტეტში გამწვანების ღონისძიების განხორციელება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ხორციელდება სკვერების, გაზონების, ბაღების (დასვენების პარკების) მოვლა-პატრონობა, სატრანსპორტო მაგისტრალური გზის პირების მწვანე საფარის გაკრეჭვა-გადაბეღვა, მწვანე ნარგავების განაშენიანება და მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების გადაბეღვა, გამხმარ და ნახევრად გამხმარ ხეებზე ტარდება შესაბამისი ღონისძიებების გატარება. აღნიშნული საქმიანობა ხორციელდება ა(ა)იპ „ზურმუხტი“-ს მიერ თანამედროვე ტექნიკით (3 ერთეული - ბენზო საკრეჭი მანქანა, 3 ერთეული - ბენზო ცელი, 2 ერთეული - ბენზო ხერხი), ტარდება საგაზაფხულო მიწის სამუშაოები (საჭირო სამეურნეო იარაღებით), ინტენსიურად ტარდება მწვანე საფარისა და ნარგავების მორწყვა (მწვანე საფარის შენარჩუნება) სპეცავტოცისტერნით , საჭირო შხამ-ქიმიკატებით დამუშავება 2 ერთეული შესაფრქვევი აპარატით. ხორციელდება: ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები, კერძოდ: სკვერებისა და ხიდების მოაჯირების შეღებვა, ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა. სისტემატიურად ხორციელდება სანიადვრე არხების გაწმენდა, განყოფილებაში დასაქმებულია 16 სპეციალისტი, განყოფილებაზე მიმაგრებულია სპეც. ტექნიკა ბორბლებიანი ექსკავატორი. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ყველა ხარჯი ფინანსდება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დარგული და მოვლილი ნარგავები, გამწვანებული სკვერები, მოსახლეობისთვის შექმნილი დასასვენებელი გარემო.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	03 03		15,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ზურმუხტი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	შესაბამის ლიცენზირებულ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით ხორციელდება უსახლკარო ცხოველთა იზოლირება ჰუმანური/უმტკივნეულო მეთოდით ლასოთი/ბადით, დეჰელმენტიზაცია (დამუშავება ჭიებზე, პარაზიტებზე), სტერილიზაცია/კასტრაცია, ანტირაბიული და კომპლექსური ვაქცინაცია, იდენტიფიკაცია (სპეციალური ცხოველისათვის განკუთვნილი ქარხნული დანომრილი საჭდით, ბირკით), თითოეული მონაცემის ასახვა სარეგისტრაციო შესაბამის ბლანკში და ყველა სხვა პროცედურის შესრულება, რაც საჭიროა ამ სფეროში არსებული ნორმებითა და დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკით. გაყვანილი ძაღლები ბრუნდებიან უკან ბუნებრივ არეალში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.		
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი უსახლკარო ცხოველები და დაცული მოსახლეობა.		



მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3424,9 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის გეგმა
04 00	განათლება	3,545.0
04 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირება	2,393.4
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	760.8
04 03	განათლების დაწესებულების ხელშეწყობა	208.0
04 04	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაცია	182.8

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		2393,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საბავშვო ბაღის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი მსურველისთვის ასაკით 2-დან 6-წლამდე, სააღმზრდელო ჯგუფებში ბავშვები განაწილებული არიან ასაკობრივი კატეგორიების შესაბამისად, კვების რაციონი შედგენილია დადგენილი სტანდარტის მიხედვით. საგანმანათლებლო გარემო აღჭურვილია განვითარებისათვის აუცილებელი მასალით და ინვენტარით. საბავშვო ბაღების ტერიტორია უსაფრთხოა ბავშვებისა და თანამშრომლებისათვის, ბაღების ეზო და შენობები ადაპტირებულია შშმ პირებისათვის, პერსონალი ფლობს საჭირო უნარჩვევებს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარით და გათბობით. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის ხარისხიანი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო სერვისების მიწოდება არის ის უმთავრესი მიზანი, რასაც საჩხერის მუნიციპალიტეტში 21 საბავშვო ბაღის ათეულობით თანამშრომელი ემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წელს მიღებული კანონი სკოლამდელი აღზრდა-განათლების შესახებ და შესაბამისი სტანდარტები სრულყოფილად ძალაში არ არის შესული, ვიმედოვნებთ რომ 2021 წლიდან სრულად მოხდება მისი მოთხოვნების განხორციელება. დღეისათვის საჩხერის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში 1287 აღსაზრდელს ემსახურება 64 აღმზრდელი და ამდენივე აღმზრდელის თანაშემწე.		
მოსალოდნელი შედეგი	საბავშვო ბაღის ხელმისაწვდომობა ბაღის ასაკის ნებისმიერი მსურველისთვის. აღსაზრდელების უზრუნველყოფა შესაბამისი სტანდარტებით გათვალისწინებული და მრავალმხრივი მომსახურებით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 02		760.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მოხდება საჩხერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაყვანის მომსახურება. ასევე #1 და #2 საჯარო სკოლაში დაზიანებული გათბობის სისტემის წყლის საქაჩი მრავისა და საცირკულაციო ტუმბოს შეცვლა. ასევე მოხდება საჯარო სკოლების მახათაურის, მოძვის,საირხის, სავანის, სპეითის, სხვიტორის, ლიჩის, ჭალოვანის, ქ.საჩხერის მე-3 საჯარო სკოლის, სოფელ ჭალის საჯარო სკოლის, სარეკის, სოფელ კორბოლის #1 საჯარო სკოლის, ქ.საჩხერის მე-2 საჯარო სკოლის, ქ.საჩხერეში პირველი საჯარო		



	სკოლის,სოფელ კორბოულის #2 საჯარო სკოლის,სოფელ ნიგვზარის, სოფელ შომახეთის, სოფელ ჭოგვილის საჯარო სკოლების სახურავების რეაბილიტაცია.
მოსალოდნელი შედეგი	დროულად მოსწავლეების გადაადგილება.

	კოდი	განათლების დაწესებულების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება	04 03		208,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები: საგნობრივი, მხატვრულ-შემოქმედებითი, სპორტული, ესტეტიკური ციკლის წრეები, ქორეოგრაფიული სტუდიები, ფოლკლორული ანსამბლი "საწერეთლო", ბავშვთა საესტრადო წრეები, საბავშვო თეატრი "თე-ატრი", თოჯინების თეატრი "კოკროჭინა", ფოლკლორის მუნიციპალური კლუბი "თავთუხეები", ბიოლოგიის მუნიციპალური კავშირი და ჭადრაკის მუნიციპალური კლუბი, ასევე ფუნქციონირებს საბალეტო სტუდია. საგნობრივ წრეებში, კლუბებსა და სტუდიებში გაერთიანებულია დაახლოებით 700-მდე მოსწავლე. თეატრებმა გამართეს 17-მდე წარმოდგენა, რომელსაც დაესწრო 2000-მდე მაყურებელი. დაფინანსება 203.2 ათასი ლარი. ა.(ა).ი. პ. "საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის" ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია . ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი უნარების განვითარება.თეატრალური სფეროსადმი ახალგაზრდა თაობის დაინტერესების ზრდა, სპორტში მოსწავლეთა ჩართულობა.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლეებს ჩამოუყალიბდებათ ეროვნული ღირებულებებისა და სამოქალაქო ცნობიერების მიმართ პატივისცემა. ისინი შეძლებენ დემოკრატიის, თვითმმართველობისა და სახელმწიფოებრივი პრინციპების შეგნებას, კრიტიკული აზროვნების ამაღლებას. მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის ხელშეწყობა ექნება თავისუფალი დროის სწორ ორგანიზებას. მოხდება ბავშვთა და მოზარდთა ინტერესებისა და მიდრეკილებების განვითარება.		

	კოდი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება	04 04		182,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჩიხისა და ჭალის საბავშვო ბაღების მშენებლობა რეაბილიტაცია; მოხდება სამშენებლო სამუშაოებზე საპროექტო საზედამხედველო მომსახურება. სისვამეების ბაღის ტერიტორიაზე ტრანსფორმატორის დამონტაჟების სამუშაოები; სოფელ ჩიხისა და სოფელ ჭალის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაო და სხვა.		
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული საბავშვო ბაღები.		

მუხლი 16. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3525,1 ათასი ლარი. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული	დასახელება	2021 წლის
------------	------------	-----------



კოდი		გეგმა
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	4,155.1
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2,271.7
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	58.5
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	872.5
05 01 02 01	საჩხერის სპორტული სკოლა	509.0
05 01 02 02	საჩხერის საცურაო აუზი	212.7
05 01 02 03	საჩხერის ძალოსნობის დარბაზი	150.8
05 01 03	სპორტული ობიექტების მშენებლობა რეგილიტაცია	1,340.7
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1,799.9
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	110.0
05 02 02	კულტურული ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია	763.6
05 02 03	კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა	926.3
05 02 03 01	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	187.8
05 02 03 02	საჩხერის კულტურის ცენტრი	297.3
05 02 03 03	სარეკის კულტურულ– საგანმანათლებლო ცენტრი	30.3
05 02 03 04	მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	73.1
05 02 03 05	აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი	23.0
05 02 03 06	აკადემიკოს კონსტანტინე და მხატვარ სოსო წერეთლების სახელობის მუზეუმი	36.5
05 02 03 07	სამუსიკო სკოლა	177.9
05 02 03 08	სამხატვრო სკოლა	50.6
05 02 03 09	არგვეთის კულტურის სახლი	49.8
05 03	ტურიზმისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამა	38.5
05 04	რელიგიის ხელშეწყობა	45.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		58,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მათ შორის: რესპუბლიკური და მსოფლიო მნიშვნელობის სპორტული დღეების აღნიშვნა; ლევან ციმაკურიძის სახელობის მუნიციპალური ტურნირი მინი-ფეხბურთში; აგვისტოს ომში დაღუპული საჩხერელი კაპრალის ირაკლი ბაზაძის სახელობის ჩემპიონატი ფეხბურთში; გიორგი ასანიძის სახელობის ტურნირი ძალოსნობაში; მუნიციპალური ჩემპიონატი ჭადრაკში; სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტი ბარიერების გარეშე,; სპორტული ფილმების ფესტივალი "ჩემპიონი"; სპორტულ-სოციალური უზრუნველყოფა; სპორტულ-ახალგაზრდული ფესტივალი; კონკურსი "სპორტფოტო". მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში ჩატარებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის ჩემპიონატები და ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული და სხვა, ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა, ფულადი და სხვადასხვა ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებული არა ერთი ახალგაზრდა სპორტსმენი. ასევე, ფულადი თანხით დაჯილდოებული ქვეყნისა თუ საერთაშორისო შეჯიბრებების გამარჯვებული საჩხერელი სპორტსმენები.

	კოდი	საჩხერის სპორტული სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება	05 01 02 01		509,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ საჩხერის სასპორტო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ა(ა)იპ საჩხერის სასპორტო სკოლა აერთიანებს 13 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი სამი ასაკობრივი ჯგუფი (90 ბავშვი); კალათბურთი (70 ბავშვი); ფრენბურთი (64 ბავშვი); ძიუდო-სამბო-ქართული ჭიდაობა (94 ბავშვი); თავისუფალი ჭიდაობა-ბერძნულ რომაული ჭიდაობა (53 ბავშვი); კარატე (35 ბავშვი); ტაეკვონდო (20 ბავშვი); კრიკი (25 ბავშვი); ჭადრაკი(20 ბავშვი) ; მკლავჭიდი (15 ბავშვი); სულ საჩხერის სასპორტო სკოლაში სპორტის სახეობებს ეუფლება 486 ბავშვი, რომელთაც საწვრთნელი პროცესი უტარდებათ კვირაში 4- ჯერ, სკოლაში დასაქმებულია 54 ადამიანი , მათ შორის 24 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 30 მწვრთნელ- მასწავლებელი, აგრეთვე შტატგარეშე 11 თანამშრომელი ხელოვნურსაფარიანი და ივანწმინდის სტადიონების მომსახურებისათვის. სკოლის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. სკოლას ყავს ბევრი წარმატებული სპორტსმენი. ქვეპროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და მეტი მოზარდის ჩართვას სპორტის სახვადასხვა სახეობებში.		
მოსალოდნელი შედეგი	სასპორტო სკოლის მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად ფუნქციონირება; ყველა მსურველის კმაყოფილება სკოლის მომსახურებით; საჩხერის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ყველა სპორტული წრით უფასოდ სარგებლობა; მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. საპრიზო ადგილზე გასულ სპორტსმენების და საქართველოს ჩემპიონატებზე გამარჯვებულთა დაჯილდოება სხვადასხვა პრიზებით მუნიციპალიტეტის მიერ.		

	კოდი	საჩხერის საცურაო აუზი	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება	05 01 02 02		212,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ საჩხერის საცურაო აუზი		
	ა(ა)იპ საჩხერის საცურაო აუზი აერთიანებს სპორტის ისეთ სახეობებს როგორიცაა: ცურვა/ხუთჭიდი (45 სპორტსმენი) და წყალბურთი (50 სპორტსმენი); აღსანიშნავია, რომ ხელი ეწყობა სპორტის საწყლოსნო სახეობების, ასევე თანამედროვე ხუთჭიდის განვითარებას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სპორტის შემდეგ სახეობებს: ცურვა, მიზანში სროლა, სირბილი, ფარიკაობა. ჯამში ა(ა)იპ საჩხერის საცურაო აუზზე ვარჯიშობს 95 სპორტსმენი, რომლებიც დაკავებულნი არიან ინტენსიური ვარჯიშით კვირის 5 დღის განმავლობაში. სპორტსმენები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას იღებენ არაერთ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში და არიან მეტწილად მოწინავე ადგილების მფლობელები. გარდა სპორტული დატვირთვისა აუზი ასევე წარმოადგენს გამაჯანსაღებელ ცენტრს და ემსახურება წელიწადში		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საშუალოდ 15000 მომხმარებელს. ა(ა)იპ საჩხერის საცურაო აუზზე დასაქმებულია სულ 25 პირი, აქედან 22 ადმინისტრაციულ -ტექნიკური პერსონალი და 3 მწვრთნელი. ქვეპროგრამის მიზანია: 1. ახალგაზრდა თაობებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და ხელშეწყობა; 2. საწყალოსნო სპორტის სახეობათა განვითარების ხელშეწყობა; 3. სპორტული სახეობის ხუთჭიდის განვითარება და ხელშეწყობა; 4. მუნიციპალიტეტის სახელით სხვადასხვე ღონისძიებებში მონაწილეობა.
მოსალოდნელი შედეგი	აუზის მომხმარებელთა რაოდენობის კიდევ მეტად გაზრდა, სპორტსმენთა რაოდენობის გაზრდა და მათი ხელშეწყობა, გრძელვადიან პერსპექტივაში კი ჯანსაღი თაობების აღზრდა.

	კოდი	საჩხერის ძალოსნობის დარბაზი	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება	05 01 02 03		150,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ოლიმპიური ჩემპიონის ლაშა ტალახაძის სახელობის საჩხერის ძალოსნობის დარბაზი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	დარბაზი სპეციალიზებულია სპორტის სახეობა ძალოსნობის მიმართულებით, რომელიც აერთიენებს 5 ასაკობრივ ჯგუფს. მოსწავლეთა რაოდენობა წმუადგენს 90 მოზარდს, რომლებსაც ყოველდღიურად ამეცადინებს 8 მაღალკვალიფიციური მწრთვნელი (გარდა კვირისა). მწრთვნელების ჩათვლით დარბაზში დასაქმებულია 16 პირი. დარბაზის აღსაზრდელები რეგულარულად მონაწილეობენ საერთაშორისო, რეგიონულ და ქვეყნის მაშტაბით გამართულ ჩემპიონატებსა და ტურნირებში. ქვეპროგრამის მიზანია: - მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა. -ძალოსნობის პოპულარიცაზია. - მეცადინეობებში რაც შეიძლება მეტი მოზარდის ჩაბმა. - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების ზრდა-გამრავლება ქვეყნის, ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბით. განხორციელდება პანდემიის სარეგულაციო წესების დაცვის მიზნით შენობის ზედა ნაწილში დასაჯდომი მერხების მოწყობა		
მოსალოდნელი შედეგი	დარბაზის მთელი დატვირთვით ფუქციონირება. მისი ხელმისაწვდომობა როგორც ქალაქ საჩხერის ასევე მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობისათვის. იმერეთის, საქართველოს, ევროპის ჩემპიონების აღზრდა, საქართველოს ასაკობრივი ნაკრების შევსება პერპექტიული სპორტსმენებით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების მშენებლობა რეგილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		1,340.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაცია. კერძოდ: სოფელ იცქისში ტრენაჟორების მოწყობა; სოფელ ჯალაურთაში, ნეფარიძეების უბანში არსებული საფეხბურთო სტადიონის შემოღობვა;სოფელ კორბოულში, ნოზამეების უბანში სტადიონის მოსწორება და საფეხბურთო კარების მოწყობა; სოფელ მერჯევში, ქემერტელიძეების უბანში სპორტული ტრენაჟორების მოწყობა; ქ. საჩხერეში ცენტრალური სტადიონის მშენებლობა; ქ. საჩხერეში მკლავჭიდელთა დარბაზის რეაბილიტაცია; სოფელ კორბოულში საზოგადოებრივ ცენტრთან არსებული, მინი სტადიონის რეკონსტრუქცია.		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტული ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაციის პროექტირება; ქ. საჩხერეში, აკაკი წერეთლის ქუჩაზე არსებული სტადიონის აღდგენა-რეკონსტრუქცია; ქ. საჩხერეში 26 მაისის ქუჩაზე არსებული სტადიონის აღდგენა-რეკონსტრუქცია; საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ იტავაზაში სპორტული მოედნის მოწყობა; სოფ. მერჯევში, ქემერტელიძეების უბანში სპორტული ტრენაჟორების მოწყობა; სოფელ კორბოულში ნოზაზეების უბანში არსებული საფეხბურთო მოედნის მშენებლობა; ცენტრალური სტადიონისა და მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსება და სხვა. რგპფ -ქ. საჩხერეში ცენტრალური სტადიონისა და მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდობისათვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა, ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული და მოწყობილია ქ. საჩხერეში სპორტული მოედნები, მოსახლეობას საშუალება ეძლევა იცხოვროს ჯანსაღი ცხოვრების წესით

	კოდი	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება	05 02 01		110,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს საჩხერის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე სახალხო დღესასწაულების, ლიტერატურულ-მუსიკალური კონკურსების, ფესტივალების, შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას. ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას. კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების საღამოების მოწყობას. 2021 წელს დაგეგმილია შემდეგი სახის ღონისძიებები: არა ერთი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება: შობა-ახალი წლის სადღესასწაულო ღონისძიებები; სრულიად საქართველოს ფესტივალი "ქართული საგალობლები"; ასევე, სოფელ საირხეში ანტიკურ ნაქალაქართან საინფორმაციო დაფის გახსნა.		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია, მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება. პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების პატივცემად, ასევე შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაციის ამაღლება.		

	კოდი	კულტურული ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება	05 02 02		763,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული ობიექტების რეაბილიტაცია; სოფელ სხვიტორში აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო დარბაზის ტერიტორიაზე გრუნტის გატანისა და საყრდენი კედლის დემონტაჟისა და გაზის მილის მიწაში ჩადების სამუშაო და სხვა. ისტორიულ კულტურული ძეგლები წარმოადგენენ საჩხერის მუნიციპალიტეტის სავიზიტო ბარათს, შესაბამისად ადგილობრივი მოსახლეობა მიიღებს გარკვეულ სარგებელს, როგორც დასაქმების ასევე ჩამოსული მნახველისა და ტურისტული ნაკადის მომსახურების კუთხით. აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის კუთვნილ თავისუფალ ტერიტორიაზე აკ.წერეთლის ძეგლის დასადგმელად ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტირება. „ჯრუჭის“ მონასტრის რეაბილიტაციის (მეორე ეტაპი)-ისა და სოფელ არგვეთის კულტურის სახლის მშენებლობა		

	(მეორე ეტაპი)-ის თანადაფინანსება . სოფელ სხვიტორში აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო დარბაზის შენობის მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაო; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის „მოძინახის ციხის“ მისასვლელისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (გრანტის სავარაუდო თანადაფინანსება 2021 წელს) და სხვა. რგპფ -„ჯრუჭის“ მონასტრის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი); სოფელ არგვეთის კულტურის სახლის მშენებლობა(მეორე ეტაპი).
მოსალოდნელი შედეგი	ისტორიულ-კულტურული ძეგლები წარმოადგენენ საჩხერის მუნიციპალიტეტის სავიზიტო ბარათს, შესაბამისად ადგილობრივი მოსახლეობა მიიღებს გარკვეულ სარგებელს, როგორც დასაქმების ასევე ჩამოსული მნახველისა და ტურისტული ნაკადის მომსახურების კუთხით.

	კოდი	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება	05 02 03 01		187,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის საჩხერის ბიბლიოთეკა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი ცენტრალური და 15 სასოფლო ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნადი ფონდი განახლებულია, ივსება ყოველწლიურად ახალი ლიტერატურით და პერიოდული პრესით. განახლებულია და შენდება სასოფლო ბიბლიოთეკებისათვის ახალი შენობები. შემღებობისდაგვარად აღჭურვილია ახალი ტექნოლოგიებით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 137 127 ერთეულს. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით სარგებლობს რაიონის 13 496 მომხმარებელი. აქედან ცენტრალურს ყავს 5965 მკითხველი, სოფლებს 7531 მკითხველი. ბიბლიოთეკის ბაზაზე არსებობს გაზეთი მოდინახეს რედაქცია. გაზეთი იბეჭდება ყოველთვიურად.		
მოსალოდნელი შედეგი	მომხმარებლების რაოდენობის ზრდა, ინფორმაციის სწრაფი მიწოდება თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით.		

	კოდი	საჩხერის კულტურის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება	05 02 03 02		297,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ საჩხერის ობოლა ციმაკურიძის სახელობის საჩხერის კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ საჩხერის ობოლა ციმაკურიძის სახელობის კულტურის ცენტრი სადაც გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები: ქორეოგრაფიული, ფოლკლორული (მამაკაცთა ანსამბლი „მოძინახე“ ქალთა ანსამბლი „საპოვნელა“ თვითშემოქმედებითი ნიმუშების მოძიება და პოპულარიზაცია, ხალხური რეწვის ოსტატები, თვითნასწავლი მხატვრები, ხალხური მედიცინა, ზეპირსიტყვიერება, ხალხური პოეზია, ხალხური სიმღერა, ხალხური ნიმუშების ჩართვა ფოლკლორულ ფესტივალებსა და სახალხო ზეიმებში. რაც მნიშვნელოვანია შემოქმედებითი ნიმუშების შენარჩუნებისა და ოჯახური ტრადიციების გაგრძელების თვალსაზრისით. ასევე არის სამეჯლისო სპორტული ცეკვების ანსამბლები. სალოტბარო სკოლა, პაოლო იაშვილის სახელობის სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი, მხატვლიშვილის სახელობის სამუსიკო სტუდია, სადაც შეისწავლება ფორტეპიანო, ვიოლინო, სოლო სიმღერები და აქვეა ვაჟთა ანსამბლი „განთიადი“. კულტურის ცენტრში არსებული ყველა ჟანრის მიზანია პირველ რიგში ეროვნული ღირებულებების შენარჩუნება და წინა პლანზე წამოწევა. ქართული კულტურის, მრავალხმიანობის ფოლკლორის ქართული ჰარმონიის პოპულარიზაცია. აღიზარდოს მომავალი თაობა ხელოვნების დარგებისადმი დიდი ინტერესით. ღონისძიებაზე მოსულ მაყურებელს		



	მიეწოდოს ხარისხიანი პროდუქცია. კულტურის ცენტრი ჩართულია ამ ფერხულში, რომელსაც აქვს დიდი წარმატება და აღიარება თეატრმცოდნეებისაგან. არის 2 გრამპრის მფლობელი და მრავალი ნომინაციის გამარჯვებული. თეატრში გაერთიანებულია მომავალი თაობა, რომელიც ეცნობა ქართველი და უცხოელი დრამატურგების ხელოვნებას. თეატრის მიზანია და არამარტო თეატრის გავიდეს ჩვენი რეგიონის სახელი მთელს საქართველოში, ასევე საზღვრებს გარეთ. აქვს მიწვევები ევროპის თეატრალურ ფესტივალებზე. იგეგმება 2 ახალი სპექტაკლი, გაგრძელდება ძველი სპექტაკლების ჩვენება. ასევე ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები, სამუსიკო სტუდია მაყურებელს შესთავაზებენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, აგრეთვე მიიღებენ მონაწილეობას რაიონის გარეთ გამართულ ღონისძიებებში.
მოსალოდნელი შედეგი	კულტურის ცენტრში გაერთიანებული ყველა მიმართულების შეუფერხებელი მუშაობა, რაც დააკმაყოფილებს კულტურის ცენტრში მოსული მაყურებლის მოთხოვნებს. ა(ა)იპ საჩხერის კულტურის ცენტრის ადმინისტრაციული პერსონალის უზრუნველყოფა სამუშაო პირობებით.

	კოდი		დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება	05 02 03 03	სარეკის კულტურულ– საგანმანათლებლო ცენტრი	30,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სარეკის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საჩხერის მუნიციპალიტეტის ააიპ სოფელ სარეკის კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრი, კულტურის სახლში გაერთიანებულია სხვადასხვა წრეები, მუსიკალური სტუდია, ქორეოგრაფიული სტუდია, მხატვრული წრე, წრეებში გაეთიანებულია 45 მოსწავლე, კულტურის ცენტრი აქტურადაა ჩართული სხვადასხვა ღონისძიებებში სპორტულ შეჯიბრებებში, ვიქტორინა კონკურსებში, ტარდება საახალწლო, სარვამარტო, ღონისძიებები, ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს სარეკის საჯარო სკოლასთან და ბიბლიოთეკასთან, ცენტრში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენ 7 თანამშრომელს მათ შორის 2 პედაგოგია, ქვეპროგრამის მიზანია სარეკის თემის მოსახლეობის განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო საქმიანობაში ხელშეწყობა და აქტიური მონაწილეობა სხვადასხვა ფესტივალებში და კონკურებში.		
მოსალოდნელი შედეგი	კულტურის ცენტრში გაზრდილი სხვადასხვა წრები, დაინტერესებული მოსწავლე-ახალგაზრდობის რაოდენობა და დაკმაყოფილებული მათი მოთხოვნები.		

	კოდი		დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება	05 02 03 04	მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	73,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „პროფესორ ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუზეუმში დღესდღეობით დაცულია 12450 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა შეადგენს 800-მდე კაცს. მუზეუმის ქონებას შეადგენს ასევე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე-სიმონ წერეთლის სასახლე და ეთნოგრაფიული შენობები 0,5 ჰ მიწის ნაკვეთით. ქვეყნის სამუზეუმო კანონმდებლობის შესაბამისად მუზეუმი მზრუნველობას უწევს სოფ. მოძვის საჯარო სკოლაში ვიქტორ ნოზაძის მემორიალურ მუზეუმს, სოფ. ქორეთის საჯარო სკოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს და სოფ. არგვეთში პაოლო იაშვილის ლიტერატურულ მუზეუმს. მუზეუმი ეწევა სამეცნიერო-კვლევით და საგამომცემლო საქმიანობას. დაფინანსება შეადგენს 73.1 ათას ლარს. ქვეპროგრამის მიზანია საგამოფენო და საფონდო სივრცის შევსება და კეთილმოწყობა. სამეცნიერო, სასწავლო და საგანმანათლებლო მუშაობის გააქტიურება. სამუზეუმო საქმიანობის პოპულარიზაცია. სამუზეუმო პოლიტიკის განსავითარებლად მუზეუმის 2 მუშაკმა გაიარა გადამზადება პოლონეთის მუზეუმების მუშაობის გამოცდილების მაგალითზე პროექტის „კულტურა საზღვრებს მიღმა“-ს ფარგლებში.		



მოსალოდნელი შედეგი	სამუზეუმო საქმიანობის მენეჯმენტის გაუმჯობესება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია, საგამოფენო სივრცის მოწყობა თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად. მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესება და ჩართულობა სამუზეუმო მუშაობაში. ვიზიტორთა მოზიდვა. მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

	კოდი		დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება	05 02 03 05	აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი	23,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ს.ს.ი.პ. აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუზეუმი მოწოდებულია აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების, როგორც ქვეყნის მოსახლეობის, ასევე მსოფლიოს ნებისმიერი ტურისტისა და მნახველის ინფორმირებისათვის, რასაც ემსახურება როსტომისეული სასახლე, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა დიდი მგოსანი. მუზეუმში მომსვლიელი ეცნობა მეცხრამეტე საუკუნის ყოფა-ცხოვრების ამსახველი ნივთებისა და ეთნოგრაფიული არტეფაქტების ნიმუშებს. ახლად გახსნილ საგამოფენო დარბაზში ფართო სპექტრით წარმოდგენილია მგოსნის ოჯახის ისტორია, გვარის გენეოლოგია, პირადი ნივთები, ფოტოსურათები, ქართველ მხატვართა ნამუშევრები და მეცხრამეტე საუკუნის ყოფა – ცხოვრების ამსახველი დოკუმენტები, აკაკის პირადი ნივთები და ტანსაცმელი. სავანეში ძიძისეულ ქოხში წარმოდგენილია აკაკის ბავშვობის დროინდელი ნივთები.		
მოსალოდნელი შედეგი	ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა და ტურისტთა გათვითცნობიერება აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების მიმართულებით. მოზარდებისა და ახალგაზრდების პატრიოტული სულისკვეთების კიდევ მეტად გაუმჯობესება.		

	კოდი		დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება	05 02 03 06	აკადემიკოს კონსტანტინე და მხატვარ სოსო წერეთლების სახელობის მუზეუმი	36,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ აკადემიკოს კონსტანტინე და მხატვარ სოსო წერეთლების სახელობის მუზეუმი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 395 ექსპონატი (მათ შორის 42 სოსო წერეთლის ნამუშევარი) წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 200 კაცს. მუზეუმის ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია მუზეუმის პოპულარიზია, მუზეუმისადმი ვიზიტორთა დაინტერესების ზრდა და ჩართულობა. წლის განმავლობაში მუზეუმი ფუნქციონირებს შეუფერხებლად. ტრადიციულად ტარდება კონსტანტინე და სოსო წერეთლების დაბადების დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. მუზეუმების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ღამე მუზეუმში" თვითფრინავის ბიჭების გახსენება . პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით		
მოსალოდნელი შედეგი	პერსონალის უზრუნველყოფა სამუშაო პირობებით. გაუმჯობესებული სამუზეუმო საქმიანობის მენეჯმენტი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია, ვიზიტორთა მოზიდვა.		

	კოდი		დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება	05 02 03 07	სამუსიკო სკოლა	177,9



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დავით თორაძის სახელობის საჩხერის სამუსიკო სკოლა
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საჩხერის სამუსიკო სკოლა. სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, თეორიული, სავიოლინო, ხალხური საკრავების, კლასიკური გიტარის, საესტრადო სიმღერების განყოფილებები და ფოლკლორული ანსამბლი. სამუსიკო სკოლაში საფორტეპიანო განყოფილებაზე განათლებას იღებს საჩხერის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 195 მოსწავლე, სავიოლინო განყოფილებაზე 6 მოსწავლე, ხალხურ საკრავზე 30 მოსწავლე, საესტრადო სიმღერაზე 40 მოსწავლე, კლასიკურ გიტარაზე 10 მოსწავლე, ფოლკლორულ ანსამბლში 35 მოსწავლე. სულ სკოლაში სწავლობს 310 მოსწავლე. სამუსიკო სკოლაში დასაქმებულია 35 თანამშრომელი, აქედან: 6 - ადმინისტრაციული პერსონალი, 4 -ტექ-პერსონალი და 25 - პედაგოგი. სკოლა ფინანსდება 177.9 ლარით. ქვეპროგრამის მიზანია: მოსწავლეთათვის კლასიკური მუსიკის შესწავლა, ნიჭიერ მოსწავლეთა გამოვლენა და ხელის შეწყობა, რაც გააძრავავფეროვნებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მათ შორის საზღვრისპირა სოფლებში ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებს. შემოქმედებითი განვითარებისათვის ურთიერთობა ქ.ქუთაისის სიმფონიურ ორკესტრთან, კონცერტები დამეგობრებულ სკოლებთან, მონაწილეობა სხვადასხვა ფესტივალებსა და კონკურსებში, როგორც კლასიკურ, ასევე ფოლკლორულ და საესტრადო სიმღერებში. საქველმოქმედო ღონისძიებები, როგორც შშმ პირებთან, ასევე ხანდაზმულ ადამიანებთან, ურთიერთობა ქართველ კომპოზიტორებთან, როგორც თბილისში ასევე მოწვევით სამუსიკო სკოლაში, ურთიერთობა საბავშვო ბაღის აღსაზრდელებთან, კონცერტები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა კლასიკური მუსიკის და ფოლკლორის დაინტერესების მიზნით.
მოსალოდნელი შედეგი	სამუსიკო სკოლის ფუნქციონირება შეუფერხებლად, მოსწავლეების დაკმაყოფილება სხვადასხვა საჭირო ინსტრუმენტებით, ფოლკლორული ანსამბლის მოსწავლეებისათვის შესაბამისი ფორმებით აღჭურვა, კვალიფიციური პედაგოგების მოზიდვა. სკოლის მოსწავლეების მონაწილეობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში. ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია.

	კოდი	სამხატვრო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება	05 02 03 08		50,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სოსო წერეთლის სახელობის საჩხერის სამხატვრო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი დაწყებითი სამხატვრო განათლების ერთი სკოლა. სკოლაში განათლებას იღებს საჩხერის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 140 ბავშვი. დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 11 თანამშრომელს. აქედან 6 პედაგოგია. დაფინანსება 19.5 ათასი ლარი. სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან: ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, ტანსაცმლის მხატვრულ დიზაინს და ხელოვნების ისტორიას. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება მიმდინარე ხარჯები 5.2 ათასი ლარი. ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი 25.9 ათასი ლარი. ქვეპროგრამის მიზანია: განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა. კულტურული ღონისძიებების ჩატარება, საერთაშორისო კონკურსებსა და გამოფენებში მონაწილეობის მიღება, კერძოდ: ბულგარეთში, ჩეხეთში, იაპონიასა და აშშ შტატებში. სახვითი ხელოვნებისადმი პროფესიული დამოკიდებულების განვითარება და შემდგომი საფეხურების განათლების ამ მიმართულებით მიღება. საშემოდგომო და საგაზაფხულო პლენერების ჩატარება, ისტორიული ძეგლების შესწავლის მიზნით შემეცნებითი ექსკურსიების მოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	სამხატვრო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მუნიციპალიტეტში სახვითი ხელოვნების პოპულარიზაცია, სამხატვრო სკოლის აღსაზრდელთა მონაწილეობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში და სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	არგვეთის კულტურის სახლი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03 09		49,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ მედეა ჯაფარიძის სახელობის არგვეთის კულტურის სახლი		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	კულტურის სახლში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები: ქორეოგრაფიული სტუდია, ქორეოგრაფიული ანსამბლი "მუხრანელები", ფოლკლორული ანსამბლი "არგვეთი", ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლი "ციცინათელი", ბავშვთა საესტრადო სიმღერების შემსწავლელი წრე "აისი", მუსიკალური სტუდია (ფორტეპიანო), გიტარის შემსწავლელი, ქართულ ხალხურ ინსტრუმენტებზე დაკვრის (ფანდური, ჩონგური, დიპლიპიტო, ბასფანდური) შემსწავლელი წრე. აიპ მედეა ჯაფარიძის სახელობის არგვეთის კულტურის სახლის ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავალი შეადგენს 17,0 ათასი ლარი. აიპ მედეა ჯაფარიძის სახელობის არგვეთის კულტურის სახლის ქვეპროგრამის მიზანია კულტურის განვითარების ხელშეწყობა. მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია. კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავება, მოზარდი თაობის სულიერ და ინდივიდუალურ ფორმაში დადებითი როლის შესრულება, მოსახლეობის კულტურულ გართობა დასვენების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.
მოსალოდნელი შედეგი	არგვეთის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე 11 სოფლის მოსახლეობისათვის წლის განმავლობაში სრულად დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიული, მუსიკალური, ფოლკლორული და საესტრადო წრეებზე ბავშვებისა და მოზარდების გაზრდილი რაოდენობა.

	კოდი	ტურიზმისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება	05 03		38,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის ახალგაზრდული, საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებები. ასევე, სადღესასწაულო დღეებზე სხვადასხვა აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზება. ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება: საშობაო-საახალწლო ღონისძიებები, ახალგაზრდული სტარტეგის შემუშავება, სილამაზის კონკურსი, ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; ფოტო-კონკურსი ახალგაზრდა მოყვარულ ფოტო ხელოვანთა მონაწილეობით; ბანაკის მოწყობა, საზეიმო ღონისძიების გამართვა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით; ლაშქრობის მოწყობა, ზღაპრების ფესტივალი "წითელქუდა", ეროვნული მნიშვნელობის დღეების აღნიშვნა. ასევე, მნიშვნელოვანია წლის განმავლობაში სხვადასხვა ფესტივალსა და კონკურსებში მონაწილე ახალგაზრდების ტრანსპორტით მომსახურება. ტურისტული პოტენციალის ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილია ღვინისა და მივიწყებული კერძების ფესტივალი, ასევე წლის მეწარმეების დაჯილდოების ცერემონიალი; ტურისტული ატრაქციებისათვის სპეციალური სუვენირებისა და ბეჭდვითი პროდუქციის დამზადება და ტურისტულ ატრაქციებთან სარეკლამო ჯიხურების განთავსება, რაც ხელს შეუწყობს ტურისტული პროდუქტის განვითარებას, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, მდგრადი ტურიზმის განვითარებას, რაც საწინდარია ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება.		
მოსალოდნელი შედეგი	მასობრივ ღონისძიებებზე და კონკურსებზე ახალგაზრდა თაობის ჩართულობა, მათი ინტელექტუალური პოტენციალისა და შესაძლებლობების რეალიზაცია. მომავალი თაობის მოტივაციის გაზრდა. ტურიზმის განვითარება. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 04		45,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ჭიათურისა და საჩხერის ეპარქია"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის განმახორციელებელია ჭიათურისა და საჩხერის ეპარქია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური დახმარება სასულიერო განათლების განვითარების მიზნით.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, ჩატარებული წირვების რაოდენობა; მრევლის გაზრდილი რაოდენობა.		



მუხლი 17. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1290,9 ათასი ლარი. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის გეგმა
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,290.9
06 01	ჯანდაცვის პროგრამები	129.9
06 02	სოციალური პროგრამები	1,128.1
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	550.0
06 02 02	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფა	70.0
06 02 02 01	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	50.0
06 02 02 02	საქართველოს ყრუთა კავშირის საჩხერის ფილიალის ხარჯების სუბსიდირება	20.0
06 02 03	ომისა და შრომის ვეტერანებზე და მათ ოჯახებზე ფულადი ფორმით გასაცემი დახმარებები	40.0
06 02 04	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	300.0
06 02 05	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	30.0
06 00 06	უფასო სასადილოს დაფინანსება	43.0
06 02 07	სარიტუალო ხარჯები	5.0
06 02 08	საჩხერე-პერევის და პერევი-საჩხერის საავტობუსო რეისების სუბსიდირება	30.1
06 02 09	სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება	50.0
06 02 10	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	10.0
06 03	ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია	2.9
06 04	ინტეგრირებული დღის ცენტრი	30.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჯანდაცვის პროგრამები	დაფინანსება ათას ლარში
	06 01		129,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ საჩხერის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
	მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა, თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება. პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან: 1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მაღარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი); 2. იმუნიზაცია; 3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა; 4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა; 5. ტყეების შემცველობის კონტროლი ბავშვთა პოპულაციაში; 6. C ჰეპატიტის , შიდსის და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის შესრულება; 7. ვერბალური აუტოფსია; 8. პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია 9-12 წლის ასკის გოგონებში; 9. წითელას გავრცელების პრევენციული ღონისძიებების ჩატარება, არაგემიური ვაქცინაცია; 10. ახალი კორონავირუსის covid-19 -ის სახელმწიფო პროგრამის შესრულება, პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებების გატარება, საკარანტინო ზონის ეპიდკონტროლი, PCR ტესტირების ჩატარება მაღალი რისკის ჯგუფებში.
მოსალოდნელი შედეგი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

	კოდი	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება	06 02 01		550,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
